საქართველოს მთავრობის განკარგულება

№777 2016 წლის 5 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ განახორციელოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის (გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია) სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ფარგლებში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 2-612/01 10-25 2016 წ.
2 ფურცელი

ინფრასტრუქტურის სამინისტროს, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, გამოუყოს 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ გადასაცემად, მისი კაპიტალის გაზრდის მიზნით.

3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყოს, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის მოძიება, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ გადარიცხვა და მისი კაპიტალის გაზრდა გადარიცხული თანხის ოდენობით.

4. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს:

ა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;

ბ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება, ამ განკარგულების საფუძველზე გადარიცხული თანხების ხარჯვის თაობაზე ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**